ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშადური

№ 10. ყოველკვირეული ჟურნალი 1907 წ.



† **დიმიტრი ყიფიანი.**

(ოცი წლის თავის გამო).

ამ თვის 24-ს რიცხვს, სწორედ შუაღამისას შესრულდება 20 წელიწადი, რაც ვიღაც ბოროტი მკვლელის დაწყევლილმა ხელმა გამოასალმა წუთი-სოფელს საუკეთესო ადამიანი, დიდებული მოღვაწე და წარჩინებული შვილი ჩვენის სამშობლოისა—დიმიტრი ივანესძე ყიფიანი. მკვლელმ, რომელსაც ეძახდნენ „сѣрое пальто“, მძინარეს მიეპარა და

დ. ყიფიანის ხსოვნას.

„ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტმა,
სულის ჩამდგმელმა მხარემა“
გულში ჩაგიკრა, დაგმღერა
დღისით მზემ, ღამით მთვარემა!

შენი ანდერძი გადასცა
შვილსა და შვილი-შვილებსა,
მანამ იქნება ქართველი
მას ვერვინ გააწბილებსა...

რა გინდ იცვალოს დრო ჟამი,
შეირყეს ჩვენი მიზანი,
მამა-დავითის მაღლობი
იქნება ყველას ნიშანი.

გვასწავლის თავისდადებას,
სამშობლოს ერთგულებასა,
ჭირს შიგან მოჭირნეობას,
ზნეობით ამაღლებასა.

სამშობლო ქვეყნის დარაჯო,
კურთხევა შენსა სახელსა,
ქება-დიდება და მადლი
ცა ფირუზ, ზურმუხტ მხარესა.

სოსო.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფეთქელში 20 გირვანქიანი რკინის ურო დასცა, რომელიც, მკვლელობის ორი თვის შემდეგ, სიბინძურ ორმოში იპოვეს.

მკვლელობის მიზეზი რა იყო?

ის იყო, რომ დიმიტრი ყიფიანი საქართველოს ერის ყოველ ნაირს ინტერესებს მედგრათ იცავდა მთავრობის წინაშე, რომელიც იმ ხანებში ფრიად სცდილობდა—ძირს დაეცა და მიწაზე გაენართხა ქართველობა და მისი ყოველივე წარმატება.

მთავრობას უნდოდა დაეტუსაღებინა და გაეძევებინა ამ ქვეყნიდან ქუთაისის ღუბერნიის ზოგი-ერთი წარჩინებული, საზოგადო მოღვაწე თავად-აზნაურნი.

ამავე მთავრობას უნდოდა სოფლებში შემოეღო წირვა-ლოცვა რუსულს ენაზე, ქართულის მაგივრად.

ამავე მთავრობას უნდოდა სასოფლო შკოლებში მოესპო ქართული ენის სწავლება.

ამის გარდა ჯარში გაყვანას უპირებდნენ საქართველოს ყმაწვილ-კაცობას პირ და პირ რუსეთის ცივს ღუბერნიებში და აქ დატოვებას არ უპირებდნენ, რადგანაც საქართველოს ჰავა ისე არ გასწყვეტავდა ამ ყმაწვილ-კაცობას, როგორც რუსეთის ჰავა.

იმ ხანებში, თბილისის სასულიერო სემინარიის რუსი-ბერი-რექტორი მოჰკლა ერთმა ქართველმა მოწბფემ. დიდებულათ გაასვენეს ეს რექტორი სიონის ტაძარში და უფრო დიდებულათ აუგეს იქ ანდერძი და, შემდეგ ამისა, თვით ეგზარხოსმა, სიონის ამბიონიდან, აუარებელი ხალხის თანადასწრებით, დასწყევლა საქართველო, სადაც დაიბადა და აღიზარდა ამ ბერის მკვლელი.

ამაზე დიმიტრი ყიფიანმა წერილი მისწერა არქიელს და, ურჩია რომ თავისნებითვე დაეტოვებინა იმისგან დაწყევლილი ქვეყანა, მანამდისინ ამას აიძულებდნენ.

ეს ექვსი მიზეზი საკმარისი იყო იმ პირთათვის, რომელნიც მთავრობის სათავეში იდგნენ, გაეხსენებინათ დიმიტრი ყიფიანის წარსული დროის ყოველივე კერძო დამოკიდებულება მათთან და უსირცხვილოდ დაასმინეს ხელმწიფე იმპერატორ ალექსანდრე მესამეთან. გასცეს უმაღლესი ბრძანება, ვითომც-და იმპერატორის სახელით, ხელიდან გამოაცალეს ქუთაისის ღუბერნიის მარშლობის თანამდებობა, გააძევეს საქართველოდან და საცხოვრებლად დაუნიშნეს ქალაქი სტავროპოლი. ყოველივე ეს მოხდა თავ. დუნდუკოვ-კორსაკოვის მთავარმართებლობის დროს.

მივიდა თუ არა დიმიტრი ყიფიანი ამ ქალაქში, იმასთან დაიწყეს სარული სხვა და სხვა ბნელი ძალების პირებმა. ამათში იყო ერთი, რომელიც ყოველ დღე დადიოდა, „сѣрое пальто“, პირზე ხელსახოც-აფარებული. მკვლელობის შემდეგ, ეს კაცი გადიკარგა იმ ქალაქიდან.

აშკარაა, რომ დიმიტრი ყიფიანის მოკვლა იყო პოლიტიკური განზრახვა, რადგანაც ფულად მოჰპარეს მხოლოდ ცხრა თუმანი და ოქროს საათი; და ქაღალდების აბგიდან იყო მოპარული დიმიტრისაგან დამზადებული ვრცელი არზა ხელმწიფის სახელობაზე.

ისიც აშკარაა, რომ უბრალო ქურდს—მკვლელს ამ არზასთან არავითარი ხელი არ უნდა ჰქონოდა.

როდის ღა, როდის?!

ჰყუჩობს გონება, გაჰქრა ოცნება,
გლოვის ზეწარმა დაჰფარა არე,
მიკვნესის სული და ჩლუნგობს გრძნობა,
მიშფოთავს გული, ვაგლახ, მწარე
ჭეშმარიტების ხმა მედიდურის
აღარსით ისმის, მიყუჩებულა!
სიმართლის ქება, მზაკვართა კიცხვა
ნუ თუ სამუდმოდ დავიწყებულა?!
სამგლოვიაროდ ჩამოჰკრავს სიმებს
ჩაგრული ხალხის ზარი და კვნესა
და საგულმკვდაროდ აკვნესებს არეს,
მდუღრათ მაცრემლებს მწარე ნაღველსა.
როდის ღა, როდის გაცი'კროვნდება
სამშობლო ქვეყნის გუშაგი მთები?
როდის ღა, როდის გამოცოცხლდება
გატანჯულ ერის მწარე ქუდ-ბედი?!

ი. ტასოშვილი.

ექსპროპრიაცია.

ერთ კერძო სახლში სტუმრები იყვნენ თავმოყრილნი ჯ სადღეისო საკითხვებზე მასლაათობდნენ. ლაპარაკის დროს, სხვათა შორის, ხშირად ისმოდა ახლად გამოჩეკილი სიტყვა—„ექსპროპრიაცია.“ ყველა დამსწრე თავისებურად ხსნიდა ამ სიტყვის მნიშვნელობას, ასე თუ ისე ამართლებდა იმის გაჩენასა და საჭიროებას; მხოლოდ ერთი, ჭალარა—მოსილი სტუმარი, სდუმდა და ყურადღებით უსმენდა მოლაპარაკეთ. ბოლოს, როცა ლაპარაკი შესწყდა, ყველამ ამ გაჩუმებულ მოხუცს შემკითხავი თვალი მიაპყრო, თითქო იმისი აზრის შეტყობაც უნდოდათ. მოხუცმა აასრულა დამსწრეთა სურვილი და უსიტყვო შეკითხვაზე ასე უპასუხა:

„უცნაური აზრები და ჩვეულებანი იბადება ზოგჯერ საზოგადოებაში. ავიღოთ მაგალითად უსაქმო წრის ქალთა შორის არსებული წესი: კაცებთან საარშიყოდ, საცეკვაო საღამოებზე, ტიტველა გულმკერდის გამოჩენა. პირდაპირ რომ შეხედოს კაცმა ამ ჩვეულებას და გულწრფელათ გამოარკვიოს იმისი მნიშვნელობა, არ შეიძლება, რომ ქალისაგან საჯაროდ ტიტველა ძუძუების გამოჩენას გარყვნილება არ დაარქვას. ყველა კარგად ჰგრძნობს, რომ ეს გარყვნილებაა და სხვა არაფერი. მაგრამ, რადგან ქალთა სიტიტველე კაცთა დაბალ გრძნობებისათვის საამურია, მოსწრებული ოინი იხმარეს ამ გარყვნილების დასაფარავად: დიაცთა გადაღებილ გულმკერდს სახელად „დეკოლტე“ უწოდეს, უსიტყვო შეთანხმებით ამ „დეკოლტეს“ საჭიროება აღიარეს იმ ვერაგულის მოსაზრებით, რომ ქალთა „დეკოლტეს“ საშუალებით, კაცთა შორის მშვენიერების შეგრძნება განვითარდებაო.“

„გადავიღეთ ახლა თეატრის სცენაზე და იქ თი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმის სრულებით გატიტვლებულ ქალების ცეკვა-როკვას დაუკვირდეთ. აქაც ამ ეშმაკურმა ოინმა იჩინა თავი. ტიტველა ქალების ცეკვას კაცებმა ცეკვის ხელოვნება—„ხორეოგრაფია“-„ბალეტი“ უწოდეს, და ესეც ცხოვრებაში მშვენიერების დასაცველ საჭიროებად აღიარეს.“

„ზნეობის ღალატი, უმაღლესი პრინციპის უარყოფა ხომ ადამიანის სულის გამყრენელი მოვლენაა. ხოლო საკმაოა ჩვენ დროში ამ სისაძაგლეს „ექსპროპრიაცია“ უწოდოთ, და, გულ-მგზნებარე და ცხვირის ნესტოებიდან ადამიანთა განმათავისუფლებელ ცეცხლის მფრქვევი ახალ-გაზდები, ამ გარყვნილების საჭიროებასა ჭ სარგებლობას აღიარებენ.“

„როგორც ქალთა გულ-მკერდს „დეკოლტე“ და მაცეკვარ ქალთა—„ხორეოგრაფია“—„ბალეტი“ ატიტვლებს და ამავე დროს ვერაგული სიტყვებით ჰფარავს, ისე, ეს ჩვენ დროში გამოჩეკილი სიტყვა, „ექსპროპრიაცია“ ჩვენ თანამედროვე გარყვნილებას და ზნეობრივ სიტიტვლეს აჩენს და ამავე დროს ვერაგული სიტყვებით ჰფარავს.“

ასე დაასრულა მოხუცმა სტუმარმა თავისი სიტყვა, რომელიც მკვეთრათ გულს მომხვდა. ყველა დამსწრე სტუმრები სდუმდნენ ჭ უსიტყვოდ აღიარეს, მათ წინ გამოთქმული, ჭეშმარიტება.

ი. ნაკაშიძე.

ე კ ა ლ ს.

აქ ვინ დაგთესა, ეკალო,
ტურფა ედემის გზაზედა,
რომ დამწვდი, გადმომეღუნე,
ჩამესვი გამრჯე მკლავზედა?!

შხამ-სამსალ ნაღველ-ჩხვლეტითა
გული როდი ღა შინდება!
ვერ მოგსპობ ცრემლთა წკრეტითა,
ძირი კვლავ აგიჩველდება.

რა გინდ ბალღამად ჩამჩხვლიტო,
მკბინო შხამ-გესლიანათა,
მაინც ამოგგლეჯ, ასპიტო,
მოგსპობ ძირ-ბუდიანათა!

ძირიან მოგგლეჯ... ნადგომზე
ცეცხლივით ავგიზგიზდები!
ჩანაცრულ, ჩამწვარ სადგომზე,
ნუ თუ ღა გაჰბოგინდები?!

დეე, მე ნულარ შემასწროს
გავლას უეკლო გზაზედა;
ტანჯულ ხალხს მაინც ელირსოს
სრბოლა შენს ნატერფალზედა!

ი. მჭედლიშვილი.

შ ა ვ ბ ნ ე ლ ი დ ღ ე ე ბ ი.

(პეტრიელეის ნაამბობი).

ჭრელია დროება!.. რა ამბავი გამოვიარეთ, რა ხდებოდა, რას არ ვშვრებოდით?.. ძმობა, ერთობა, ამხანაგობაო და, შენი მტერია, გამანადგურა, თავიან-ფეხიანათ ტყავი გამძვრა! სწორეთ წელში გავწყდი კაცი!.. მოიყრიდენ თავს სოფლის ყაზილარები: ზოგი ამბობდა, ასე უნდა ვქნათო, ზოგი-დელიყანტათ უნდა წევიდეთო და ზოგიც რას ჩადიოდენ, ეშმაკმაც არ იცის!.. „ლივერებს“ სულ-დგაფი-დგუფი გაქონდა. სულს დაბერავდი თუ?!. ااا! დიახაც ვერა, შენც არ მომიკვდე! ძალაც მათ ხელში იყო და ნებაც.

დაწერდენ, ბოშო, წიგნს, სდღუზავდენ წითელ „ფეჩატს,“ დაახატავდენ ლივერს და კუბოს და ჩამოგიგდებდენ ეზოში: ჩვენ გადავსწყვიტეთ, ასი მანეთი გამოგვიგზავნეო!..

კაი ბიჭი იყავი და არ დაყაბულდებოდი მათ ბძანებას! მეორე დღეს, უთენიისას, ზედ შუბლში გტკლეცდენ ცხელ ტყვიას და მორჩა!.. დასამარხავათაც არვინ მოგეკარებოდა. ისე შეგჭამდენ ძაღლები და ღორები, რომ პატრონი ვერსაით ჩნდებოდა. გააგდებდენ სოფლათ ხმას: „ფშიონი“ იყოვო, და ისე ჩივლიდა ადამიანის სიკვდილი, როგორც სიზმარი. სწორეთ გითხრა ქვეყანა ლამის წეირყვნა, ჭეშმარიტათ!..

შეღამებისთანავე განათებული იყო სოფელი, იწოდა მშვენიერი სახლები, სასიმიდეები, საბძლები და ათასი სხვა რამეები. მოადენდა „ლივერი“ დგაფას და დილას უეჭველათ ნახავდი გზაზე გაშხლათურ კაცს,—ვინ მიეკარებოდა?! დედიშენის შვილი იყავ და სიტყვას იტყოდი!..

ხუცებს არ იტყვი, კაცო, ხუცებს? რა გაწამაწიაში ჩაცვივდენ, რა დღე დოუდგათ?!. დახვდებოდა გზაში თითის სიგრძე ბიჭი და ისე პარსავდენ, როგორც ოსური ცხვარი; ულვაშიც, იცოცხლე, ბევრს ააკნაჭეს; ანაფორას სულ ფხრიაწ-ფხრიაწი გაქონდა. წარმოიდგინე, ყმაწვილო, შემოსილს მღვდელს შეუვარდებოდენ ეკლესიაში, იქ მუცელში უფეთქავდენ გავარვალებულს ტყვიას და... კაცი ვერ გეეკარებოდი!

თავად-აზნაურობა?.. შენს მტერს და დამაწყევარს, რავარც ისინი გადაბგალენ, სულ ცოლი და შვილი ფარა-ფარათ გაუხადეს!.. პრისტავი და მამასახლისი სად იყო, ვინ ეშმაკი იყო?.. რკინის გზა დეისაკუთრენ! „ტანციის“ „გულფეტები“ თავლებათ აქციეს, „პოეზდი“ მათ ნებაზე დადიოდა; ვინ იყო ხმის გამცემი?..

ნათესაობა წეიპილწა!.. მირონი დეიკარგა!.. პირი და ნამუსი გაქრა!.. საქმე ტყვიაზე და ცეცხ-

ქართული ხელოვნება.



ეკატერინე ბარათაშვილი.

მისი ნახატები.



მოცარტი.

ქალის სურათი.

ლზე მიდგა!.. ჩვენ ლაზარიას რჯულიერი ცოლი გააშვებიეს და მაგიერათ მშვენიერი „ქიჩქინია“ გოგო მოგვარეს სახლში—შენ წითელ რაზმში ხარ, ჩვენო ლაზარეო, და ისიამოვნეო!

საწყალი სპირიდონეი, აცხონოს ღმერთმა! ერთი „აშულლანი“ ბიჭი იყო, არასფელი ცუდი მისგან არ შეიძლებოდა, მარა გაატიტვლეს თავის საყვარლიანა, გადააბეს ერთი-მეორეს და სამი დღე სოფელ-სოფელ ატარებდენ. ერთხელ კრება მიაც მეიყვანეს: რომ შევხედე ტიტველ ქალს და კაცს, სირცხვილმა დამწვა, ალმური მომედო!.. ვიღაცამ კრებიდან დეიძახა: გათახსირებული არიან, ხეზე გადმოკიდეთო!.. და მართლაც გადმოკიდეს იქვე წიფელაზე!.. სწორედ ცოდვა ტრიალებდა სოფლათ, შენ ნუ მომიკვდე!..

ჯვრის წერა ადვილათ მოსპეს! გამოაცხადეს; ვისაც უნდა „გრაჟდანი ბრანკით“ წეიყვანოს ქალიო!.. იმე! მიამა მარა, არ მკითხავ, რა მიამა?.. გულში ვფიქრობდი: რა მენაღვლება, თუ „გრაჟდანი ბრანკით“ გაათხოვებენ ჩემს გოგოს მეთქი. ბზითი და ქორწილი არ უნდაო, ყველა იძახოდა!.. სიხარულმა ამიყოლია, ბოშო!.. თურმე ნუ იტყვი!.. შენს მტერს და ორგულს იმისთანა „ბრანკი,“ ის რომ ყოფილა!.. ჰო, ჰო, ჰო! რა ბეწვზედ გადამარჩინა ღმერთმა, ვენაცვალე იმის მუხლს!.. ჩვენი გაბილეის გოგო, მატრონიეი, მზე და მთვარეს ეთამაშებოდა, ორი თვალი უკეთესს ვერასფელს ნახავდა, წოუყვანია ვიღაც დაკარგულაძეს „ბრანკით,“ ცოტა ხანს ყოლია და ბოლოს ავათმყოფი ქალი, გაძვალ-ტყავებული, მოადგა კარზე დედ-მამას. ისე გოუხთია იმ რჯულზე ხელ-აღებულს, რიზინივით გოგო, რო ფეხზე ვერ დგება. რომ ვნახე, გული ამიდუღდა საცოდაობით. ასეთ გარემოებას როგოც გადავხედე, მაშინვე ჭურში ვატუცე თავი ჩემს ცაცოიას... თორე, შენი მტერი ყოფილა ისე, როგორც იმას დემიზელდნენ. მთელი ერთი წელიწადი ჭურში მყავდა ჩამალული.

ქართველი მწერლები და მოღვაწენი.

† ალექსანდრე ჭყონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყანე მიწას არ იტყვი, ბატონო?.. დეიჩემს საერთოთ უნდა გვექნესო, კომისია უნდა ეირჩიოთო. და იყო ამაზე, მთელი თვის გამავლობაში, ყოველ დღე კრება. სწორეთ გითხრა, გადავყევი თან!.. ვფიქრობდი, ვკეთდები და ეს არის; ჩემი ნაბატონარის მიწა მე შემხვდება მეთქი და დღე და ღამე არ მეძინა სიხარულით. გედვირიე კაცი!.. ეირჩიეს კომისია, დაანაწილეს მიწები და შენს პეტრიელას არგუნეს ორი ქცევა და ისიც ისეთი მიწა, რომ, ჩემი ხარები კი არა, „პარაოზიც“ გაგება, ბელტს ვერ ჩამოაგდებიებდი... ვინც კომისიაში იყო არჩეული, ან თუ ვინმე ნათესავები ყავდა კომისიის წევრებს, ათი-თუთხმეტი ქცევა საუკეთესო მიწები დოურიგეს და შენი პეტრიელი დავრჩი პირში ჩალა გამოვლებული, მშიერი და გაჭივრებული!..

ასეთი არეულობის დროს, ჩემი ორივე ბიჭები მომაღგა კარზედ. ერთი სალდათათ იყო „ტოპოლ-ცკის ღუბერნიაში,“ სამი თვე უკლდა სამსახურის შესრულებას, იმ ჩემი ცოდვით სავსეს!.. მეორე შვილი თბილ ქალაქს მყავდა, ღოროცკოი უპრავაში დიდი ადგილი ერჭირა; უიმისოთ დაკლული საქონელი არ იყიდებოდა; ჯერ მას უნდა დეეკრა „პეჩათი,“ ღლავნი დოხტურის თქმით, და მერეთ ნება ქონდა ყასპებს გეეყიდათ ხორცი. მოგეხსენებათ, ქალაქში პირველი ალაგი „ღალავას“ და „ღლავნი დოხტურს“ უჭირავს... და „დოხტურის“ მეორე პირი ჩემი შვილი იყო!.. ყოველ თვეში ოც მანეთს მიგზავნიდა. მეც ვმუშაობდი და ამნაირათ მიმქონდა საქმე; სირცხვილი არ მიჭამია, ცოდეს ღმერთმა!..

როგორც მოგიყევით ორივე ბიჭები მოვიდენ და მითხრეს;—მამა ჩემო, ახალი დროება დადგა, ჩვენ „რევოლუცია“ უნდა გავაკეთოთ და შენ გვაცალეო“.

აგი, როგორც გევიგონე ვიტკუცე შუბლშიდ ხელი, თავში რომ დამკრა რაცლამ, კოჭებამდის ზრიალ-ზრიალით გეიარა, მარა ხმას ვინ ამოგაღებიებდა.

ასეთ არეულ დროს დამემართა, ბოშო, საოფლე და „კანკრაზ“ ერთი თვე ოფლში ვცურავდი. ამ შიშში და უბედურებაში რომ ვიყავი, მოვიდა ამბავი: ქოჩორაზე რუსის ჯარი გამეეიდა, ღენერალი ალიხანოვი და ტამბაჩოვი მოუძღვისო და მიწის პირზე არ უშვებენ არასფელსო!..

იმე, ბოშო! ამ ხმამ შემოაწია სოფლათ თუ არა, საით გაქრენ ჩვენი ახალი ამხანაგები, ცამ შთანთქა თუ მიწამ, მათი ასავალ-დასავალი ველარ გევიგეთ! ისე გეიპარენ, როგორც შარშანდელი თოვლი.

ეხლა, ბოშო, რავა გინდა?.. მიგვცეს შით პირში ცეცხლსა და ტყვიას!.. დღე და ღამე არ გვეძინა. ძაღლი, რომ განძრეულიყო, გული გვისკდებოდა შიშით—სულ რუსის ჯარი გველანდებოდა. ამ შიშზე და უბედურებაზე ქალი გადამერია, წეიღო თქვენი ჭირი, შუა აპრილში გადაიცვალა.

ამის შემდეგ, რაც შემოსეულმა ჯარმა დღე დაგვაყენა, შემდეგ გიამბობ დალაგებით, ჩემო ხელმწიფეო...

ბომბა.

ბედნიერი ცოლ-ქმარი.

გაუმარჯოს ჯვარის წერას!
გაუმარჯოს ქორწინებას!
გაუმარჯოს ამ ცოლ-ქმარის,
კეთილსა და ტკბილ ცხოვრებას!

ექსპროპრიაცია.

ტანჯვით ნაშრომს ფულს აცლიან
საწყალ დურგალ რამაშასა...
ცხონებული „გარადი“
სდგას, უეურებს თამაშასა!..

ხ უ ლ ი გ ა ნ ი.

რაც ვიყავი, იმად ვრჩები,
მეტი არ მსურს სიგრძე-განი,
და ამისთვის, რათ გგონიათ
ვითომც ვიყო „ხულიგანი?“
იმთავიდამ დღევანდლამდე,
ერთი მქონდა გულის თქმანი—
და დღესაც მას ვაღიარებ:
„მეფე, ტახტი და მისგანი!“
სუყოველთვის მონა ვიყავ,
სხვისი ტვირთის გადამტანი,
თავში მცემდნენ, ჩუმად ვიყავ,
ამისთვის ვარ ხულიგანი?
ძალა, ჩემი მფლობელია,
და ამ ძალას ვმადლი-მონა,
ეკალნარში ჩვეული ვარ,
არას მარგებს ვარდის კონა.
ერთსა ვფიქრობ: არ დამაკლდეს
კუჭის საზრდო, ტანთ—საცმელი,
ამის მეტი არც მქონია,
არც მექნება სანატრელი.
მე ჩემს თავზე არას ვნაღვლობ,
თუნდ ჰყვიროდენ: „დაჰკა“ „დაჰკას,“
ზარბაზნის და ხიშტების წინ,
ჩამოუვლი „იაჰკა“—„იაჰკას!“
ჩემ ცოლშვილს ხელს ვერვინ ახლებს,
ვერც დამწამებს ვერვინ ცილსა:
გაუმარჯოს ჩემსა ბატონს
და ყველა მის ერდგულ შვილსა!
რაც ვიყავი, იმად ვრჩები,
მეტი არ მსურს სიგრძე-განი,
ჩვენს ხელთ არის ძალთა—ძალი,
მის ბურთი და მოედანი!...

სოსო.

ქართველ მაჰმადიანების გამოხმაურება.

—

ხშირათ გვესმის ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს ჩვენი ქართველებისაგან:

„ასე რამ დაგამუნჯათ? ასე რამ დაგაძაბუნათ!.. ნუ თუ ხმას ვერ ამოიღებთ და ხმა მაღლა, საჯაროდ ვერ აღიარებთ და ვერ გამოაქვეყნებთ იმ გულშემზარავ უსამართლობას, რომელიც, ლამის არის, აუცილებელ საჭიროებად და ჩვეულებად მიიჩნიოთ. ნუ თუ ეხლაც დრო არ არის, რომ ყველა ის, სულის შემხუთავი, ღირსების დამამცირებელი, უფლების შემზღუდავი მიზეზები, აღელვებულ ზღვასავით ნაპირზე გადმოგესროლოთ?!“

დიახაც აგრე უნდა ყოფილიყო, მაგრამ, მაგარი ის არის, რომ ზოგიერთ, ჩვენგან დამოუკიდებელ პირობებისა გამო, ისე თამამათ და მოურიდებლათ ვერ გამოგვითქვამს ის უბედური და ბედშავი მოვლენანი, რომლებიც განუწყვეტლივ თავს დაგვტრიალებს.

საქმე ის არის, რომ ვერ ვიძლევით და ვერც ვასრულებთ ამგვარ მოვალეობის ასრულებას, - როცა ჩვენში, თანამედროვე დაკისრებულ მოვალეობაში, კეთილი იმედი არა ჰსუფევს; როცა დროს შესაფერად მომქმედი და ნაყოფიერი, სამშობლოსადმი ერთობრივ სამსახურის შესრულება შეუძლებლად რჩება!.. საუბედუროდ ჩვენი ბათუმის ოლქის მუსულმანები, ჭეშმარიტი ცხოვრების შინაარსითვერ ცხოვრობენ და ამგვარად,—ცხოვრების იდეალს მოკლებული,—ფიზიკურადაც მკვდარს დამსგავსებულან. აბა ერთი მიბრძანეთ, თავისუფლებაზე, თანასწორობაზე, სწავლა-განათლებაზე და ლიტერატურაზე ლაპარაკი, როგორ უნდა მოხერხდეს, განსაკუთრებით ისეთ დროს, როცა მცირეოდენ შეგნებულ პირებსაც კი შინაარსიანი ნაწერნაბეჭდის წაკითხვა და თავისუფლად აზრის წარმოთქმაც კი ეკრძალებათ!..

მართალია, ჩვენ, მცირე ჯგუფს, გვჯერა, რომ თვითმპყრობელ ბიუროკრატიის მიერ შექმნილი უნიადაგო და წარმავალი ძალმომრეობა, რომელიც უეჭველია, მალე თუ გვიან მათის დამარცხებით უნდა გათავდეს,—რადგან ათასობით შემომქმედ ნიჭით სავსე ჩვენის მხარის მცხოვრებნი მხოლოთ ერთ თვითმპყრობელ ბიუროკრატიის სურვილ-ნებას რომ დაემორჩილნენ და თავი მას ამსხვერპლონ, ამის შესრულებას თვით ბუნების კანონებიც ნებას არ მისცემს· ესეც არ იყოს, ამდენის განუსაზღვრელ უსამართლობით, ათასნაირ უბედურობით, თავისუფალ აზრების მილეწ-მოლეწვით, შეგნების სინათლის ჩაქრობით და ერთ დიდის წყვდიადის გამეფებით საბრალო ჩვენს ოლქზე, თვითმპყრობელობამ ავტორიტეტი, ეხტიბარი დაკარგა და, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ სრულებით განადგურებულნი არა ვართ და თან დღევანდელი ჩვენი უიმედობა მომავალის იმედებს ვერ შეგვიფერხებს. აწმყო, თუ ვერას გვაძლევს, მომავალი არ ჩაგვქრობია და, ცოტად თუ ბევრად, სამოქმედო ნიადაგს არ გვიკარგავს.

რა დასამალია, რომ ჩვენი ეგოდენ ტანჯვის ატანა, პირუტყვული მოთმინება და მორჩილება მხოლოდ ჩვენი უვიცობისა და უმეცრების ბრალია! მასთან ერთად ამასაც ნუ დავივიწყებთ, რომ დღეს ჩვენი ოლქის ზოგიერთ ნაწილების მცხოვრებთა შორის, თუ მხედველობაში პროვოკატორებს და კუჭის მოციქულებს არ მივიღებთ, სხვა მცხოვრებთა ზნე, პატიოსნება, სიმართლე და ვაჟ-კაცობა, ისევ შეურყევლად არის დაცული. სამართლის აღსადგენად და უსამართლობის საწინაამდეგოდ, ჩვენი შემოქმედებითი, მღელვარე ნიჭი ნურავის ნუ ჰგონია, რომ სრულებით გამქრალი იყოს. საჭიროა მხოლოდ სწავლა-განათლების შეტანით ერთმანეთი დავინახოთ, მტრები და მოყვრებიგავარჩიოთ...

და აი, სწორედ ამ სწავლა-განათლების საქმეში,

ყურნალ-გაზეთების და ბეჭდურ სიტყვის გავრცელებით, დექტიებისა და რეფერატების საჯარო კითხვა-მოსმენით, ჩვენს მოძმე ქართველებს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიანთ ჩვენთვის. და მაშინ, რაც კერძოთ ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს გვიძნელდება და ქართველებს არ ეხერხებათ, დიახაც ადვილი შეიქნება, რადგან ძალაც და პროგრესიული წინმსვლელობაც ერთობაში და ერთმანეთის გაგებასა და სოლიდარობაშია. ეს თანხმობა, ეს ერთობა თუ გვიხსნის ჩვენ გადაგვარებისაგან, მით უფრო ეხლა, როცა ისე აირია ქვეყანა, როცა ძალი პატრონს ვედარ სცნობს... სხვა ეოველივე ამაო და უნაყოფოა!..

მემედ-ბეგი.

ი უ დ ა.

ბნელს, ულრან ტყეში, ცოფიანივით,
დაძრწის იუდა გაგიჟებული,
— გაეყიდე იგი, მოღალატე ვარ!—
მთა-ბარს გასძახის ჭკვა-დაბნეული.
ღალატის ქსელში გამბული გული
აღარ ასვენებს, უქეჯნის სულსა,
სიკვდილი თან სდევს, ვითა აჩრდილი
უბედურ ღეზე დაბადებულსა.
ხალხს მასზე ზიზღი დაუბერტყნია,
ზენაარსს—რისხვა, სამყაროს—გესლი!
მხოლოდ ულრანი ტყე შემორტყმია,
ხელში უპყრია ვერცხლისა გესლი!
ველარსად ჰპოებს, ვერსად, მოძმესა,
დაძრწის, თვალს რული არ ეკარება...
— სიკვდილი მიჯობს!—შესძახებს ტყესა
და ჭანდრის ტოტზე დაეკიდება.

ნელიკო.

სპარსული სიბრძნე.

შენი გულის ნადები სჯობს შენვე შეინახო და არა სხვამ.

* * *

ორი კაცია საბრალო: ერთი, ვინც ეძებს და ვერ უპოვნია; მეორე, ვინც ჰპოვა და ვერ შეჯერებულა.

* * *

მდიდარი ღარიბის კარს არ მიადგება, თუ არ ღალის გამოსართმევად.

* * *

ნუ შეიბრალებ დასუსტებულ მტერს, რადგან არც ის დაგინდობს თუ ძალა მოიკრიბა.

* * *

ვერ დადგება სიმდიდრე ბედოვლათის ხელში, მოთმინება—მიჯნურის გულში და წყალი—საცერში.

* * *

მოთმინება შვების კარია, აჩქარება კი—სინანულისა.

* * *

იმედი უბედურის პურია.

* * *

სამართლიან მეფის მცველი ხალხია.

* * *

თუ ხელმწიფემ გაგიღიმა, თავი ნუ მოგაქვს; კი არ გაუღიმია, მხოლოდ დაგანახვა, რომ ლომის კბილები მაქვსო.

რიშ ბაბა.

მ ა შ ვ რ ა ლ ს.

ნუ დაეცემი სულით, მაშვრალო,
ნუ ჰკარგავ იმედს მომავალზედა:
დასავლეთისკენ საქარიშხალო
ნიშანი ჩნდება წითლათ ცაზედა!
დაჰბერავს ქარი, დასჭექს გრიგალი,
შავსა ღრუბელსა მიფანტ-მოფანტავს
და დატანჯული, ხალხი მებრძოლი
თავისუფლების დროშას აღმართავს!..

რ. ქ.

მ ე ბ რ ძ ო ლ თ.

მებრძოლნო, მოდი, შეეერთდეთ
საერთო მტერთან ბრძოლაში,
დავცეთ მტარვალი... და ტანჯულს
ჩავაკვდეთ გულის ძრწოლაში!
სხვადასხვაობა პარტიის
ნუ აგვშლის ბრძოლის ველზედა,
მტრის გასახაროს ნუ ვიზამთ,
ნუ გავაცინებთ ჩვენზედა.
მაშ, ხელი-ხელსა, მებრძოლნო,
დავატყდეთ მტერსა თავზედა,
სიბნელე დავგმოთ, და ძმობა
ვამეფოთ ქვეყანაზედა!

ვასო.

ვ ი ნ ა ვ ა რ?

პროლეტარიზაციის ქადაგება შევისწავლე.
ავტონომია და ფედერაცია დავგმე.
ფედერალისტების და რევოლიუციონერების მიწის სოციალიზაცია დავსწყევლე.
ფედერალისტები გლეხებში და მუშებში ფეოდალისტებად მოვნათლე.
ს.-რევოლიუციონერები ბურჟუაზიულ პარტიად ვაღიარე.
ანარქისტები გიჟებად დავსახე.
თაგუნა და ეშმაკი ამხანაგებათა მყვანან.
ნოე ჟორდანია—მასწავლებლად.
ივ. გომართელი—ექიმად.

ასკანელი პროკოფია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესანიშნავი სურათები.

ხელ-საქმე.
ლაპიერ რენდუარდისა.

მონასტრისკენ.
ალფერ გუბერისა.

ნეტავი....!.

ნეტავი თუ გველირსება
ტანჯულებს თავისუფლება,
მშრომელთ—შრომისა ნაყოფი,
ურთიერთ ძმობა—ერთობა?!

ნეტავი თუ გველირსება,
მოისპოს გმინვა—წუხილი.
და შთანთქას ზღვისა ტალღებმა
მშრომელთა გულის დუღილი?

ნეტავი თუ გველირსება,
არ ვიყოთ სხვისი მონები,
ბრძანებელთ ქედს არ ვუხრიდეთ,
ვიყვნეთ სწორი და ტოლები?

ოხ, ნეტავ, თუ გველირსება,
გაუქმდეს ციხე, ციმბირი...
არ გვშორდებოდეს ყოველ წლივ
ქვეყნის მებრძოლი და გმირი?

როდის იქნება, ნეტავი,
რომ მოკვდეს, გაჰქრეს წყვდიადი!
სამშობლოს აბრწყინვალებდეს
შრომა და ღვაწლი დიადი?!

ა. თალაკვაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალ-დემოკრატების გამარჯვება

რაჭაში სამი სოციალ-დემოკრატი მემამულე შეკრებილა და თავიანთი თავი ამომრჩევლებად აურჩევიათ.

ოლონდაც, „დიადი“ გამარჯვებაა, და ღმერთმაც ნუ მოაკლოს პარტიას ასეთი დამარცხება ფეოდალებისა, მაგრამ....

ამაშუკელსა ჰკითხეს: მეფობა ვინ მოგცაო? —„იდო და ავიღეო“.

იმ სამ სოციალ-დემოკრატსაც რომ ჰკითხო, მემამულეების წარმომადგენლობა ვინ მოგცათო, სიმართლით შეუძლიანთ გიპასუხონ: „ეგდო და ავიღეთო!“

კუჭის სოციალიზმი.

კაცი რომ გაჩნდა მიწაზე, მას აქეთ ეძებს ბედსაო;
დაეძებს გამწარებული, მაგრამ იპოვა ვერსაო!
სოციალიზმით, ითქვა, მივაღწევთ საწადელსაო...
ბედნიერება ჰგონია: თუ მაგრა გაძღესაო!..

რაჭველი შურდული.

შესანიშნავი ქანდაკებანი.

ვ ე ნ ე რ ა.
ფლორენისა.

მხატვრობა, ქანდაკება და ხუროთმოძღვრება.
პაშჩენკოსი.

გინახავთ როდისმე?

— ქალი, ან კაცი, გამუდმებით მართლის მოლაპარაკე.

— ვაჭარი, რომელიც მუშტრის მოტყუებას არ ლამობს.

— საათი, რომელიც სწორეთ დადიოდეს.

— ქალწული, რომელიც გათხოვებას არ ნატრობდეს.

— პოეტი, რომელიც აღტაცებული არ იყოს თავისი ლექსებით.

— დედა, რომელსაც გადამეტებით არ უყვარდეს თავისი ბახალა.

— ექიმი, რომელიც თავის თავს ექიმობდეს.

— გული, რომელიც თვალჟუჟუნას დანახვაზე არ ტოკავდეს.

— მსახიობი ქართულის სცენისა, რომელიც თავის ბედს არ ემდუროდეს.

— ფეხი, რომელზედაც დაბებრებული (მაზოლი) არ იყოს.

— ცოლი, რომელიც სიკვდილამდე ქმრის ერთგული იყოს.

— მწერალი, რომელიც თავის ნაწერების კითხვით ნაცნობებს არ აწუხებდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პოლიციელი, რომელიც ქრთამს არ იღებდეს.

— კასირი, რომელიც გულმოდგინეთ თავის ფულს სთვლიდეს.

— ყაზახ-რუსი, რომელსაც ძარცვა-გლეჯა არ ესიზმრებოდეს.

— სცენის მოყვარე, რომელიც თავის თავს გენიოსად არ სთვლიდეს.

— ბანკი, რომელიც სხვის მამულებს არ ჰყიდდეს.

— თავად-აზნაური, რომელიც ღალაზე და გლეხების ურჩობაზე არ წუწუნებდეს.

— გლეხი, რომელიც მიწასა და თავისუფლებს არ სტიროდეს.

— სასამართლო, რომელიც საქმეს სწორეთ და სინიდისიერათ სჭრიდეს.

— ბიუროკრატი, რომელიც თავისუფლების დაფუძნებას მოწადინებული იყოს.

— ღენერალი, რომელიც სიზმარში მაინც საქართველოს არ ანადგურებდეს.

— ლოთი, რომელიც წითელ ნუნის სმით თავბედს არ ივიწყებდეს.

— ყასაბი, რომელიც „დოვესკას“ არ ასაღებდეს.

— რეჟისორი კაფე-შანტანისა, რომელიც წმინდა და სუფთა იყოს.

— ხულიგანი, რომელიც „ნამდვილი პატრიოტი“ არ იყვეს.

— ჟურნალ-გაზეთი, რომელიც თავის თავს ლანძღავდეს.

— გაზეთი, რომელიც სამხედრო წესების დროს, ერთხელ მაინც დაკეტილი არ იყვეს.

— პროლეტარი, რომელიც საკუთრების შეძენას არ ლამობდეს.

— სომეხ-თათარი, რომელნიც ერთმანერთის სისხლს არა ღვრიდნენ.

— სოციალდემოკრატი, რომელსაც პირზე „კლასთა ბრძოლა“ არ ეკეროს.

— სოციალ-ფედერალისტი, რომელიც ავტონომიაზე არ ოცნებობდეს.

— მთავრობა, რომელიც ხალხის დღეგრძელობაზე ფიქრობდეს.

და ბევრიც სხვა...

ხომ არ გინახავთ? ჰო-და, არც მე მინახავს!

სოსიკო.

ს ი ზ მ ა რ ი.

(რუსე-თიაპონიის ომის გავლენით).

ვნახე მთელი კავკასია
შვიდათ იყო დაყოფილი;
ალარავინ არ „ბუნტობდა,“
ყველა იყო კმაყოფილი...
ბათომს ერქვა სახალინი—
და ბორჯომს კი—ასტრახანი,
ყველა „მავნე,“ „დამნაშავე“
იქ ცხოვრობდა ცოტა ხანი...
დაბრიყვებულსა გურიას
დარქმეოდა პორტ-არტური,
გარს ბლოკადა შემოერტყათ,
მცხოვრებს აკლდათ საჭმელ-პური...
ალყის, ტყვევნის გმირი იყო
დიმიტრი და თვით იაშა,
იმათ საქმეს საგმიროსა
კვერს უკრავდა თვითონ ფაშა...
ქუთაისს ერქვა მუკდენი
და შორაპანს კი—იალო,
იქ რაც გმირები მეფობდენ,
ყველა როგორ ჩამოვთვალო...
თბილისს ერქვა მანჯურია,
პუტილოვის გორა-გორსა,
საქმეს მაზრის თავი სწყვეტდა,
არ უნდოდა წასვლა შორსა.
ყველა ბრწყინვალე წოდება
გამხდარიყო თვითმართველად,
პრეზიდენტად აერჩიათ
მდივანბეგნი, როგორც ძველად...

ხ. ა. ს.

მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა.

ამ ჩვენს დროს „მოთხოვნომანიის“ დრო უნდა დაერქვას. დიდი, პატარა სულ მოთხოვნებზეა შეშლილი: წვრილები მსხვილებს სთხოვენ, ხელ-ქვეითები ხელ-ზევითებს—უფროსებს. და ვინაიდან უმცროსის უფროსი ქვეყანაზე ჯერ კიდე, ვინ იცის, რამდენი გოგრა გახმება და არ დაილევა, არც ეს მოთხოვნები გამოილევა. ახლა, სიმართლე რო ვთქვათ, ეს მოთხოვნები ხშირათ იმდენათ საზღვარ დაუდებელია, რომ თუ ყველა შესრულებული იქმნა, —მსხვილები ნამდვილათ, ნამდვილათ დაწვრილდებიან და წვრილები დამსხვილდებიან. და მერე ეს დაწვრილებული მსხვილები დაუწყებენ მოთხოვნების წარდგენას დასხვილებულ წვრილებს. ასე რო, მე რო ვფიქრობ ახლა, ეს ნამდვილი perpetuum mobile გამოვა, და მე თუ ამის ფიქრს გავყევი—თავ ტარაბუა დამეხვევა. უმეცარ კაცებმა იკვლიონ და იძიონ ეს საქმე და მე აგერ ერთი მაგალითი მინდა მოგახსენოთ მოთხოვნისა.

გუშინ წინ ერთს ნაცნობის ოჯახში გიახელით და დიასახლისმა ეს ეპისტოლე გადმომცა.—მზარეულსა და მოსამსახურე გოგოს წარუდგენიათ მისთვის, წაიკითხეთ:

„მარკოზ ივანიჩ გვენეტაძისა და კესარია თათეოზოვნა სულაქველიძის ასულის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა ხაზეინებისადმი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ ყოვლისა მარკოზსა და კესარიას სურსთ შეუღლება და შუღლდებიან კიდეც, და უკეთუ ხაზეინებს სურთ, რომ ესენი მათს ოჯახში დარჩნენ, მოითხოვენ შემდეგს:

მუხლი 1. ზრდილობიანი მოქცევა, რაიცა შეიცავს მას, რო მე მქვიან მარკოზ და არა მარკოზა—ბიჭო, და სამეუღლოსა ჩემსა—კესარია და არა კესა—გოგო. ორივესთან თქვენობით საუბარი.

მუხლი 2. პროცენტების ანგარიშით რო არ შეგაწუხოთ,—ჯამაგირის გაორკეცება.

მუხლი 3. მარკოზსა და კესარიას უნდა ექნეს სუფთა, ჰიგიენურათ მოწყობილი, სრული ოთახი, სუფთა ლოგინი, უბადლინჯო, ურწყილო, „უტარაკანო„... ზამთარში, თუ კაი დაბამბული იქნება, ერთი ფართე, სრული საბანი, ზაფხულში—ორი „პაკრივალა“.

მუხლი 4. პირველ თვეს შეუღლებისას, ძილი და მოსვენება—საღამოს 8 საათიდან ვიდრე დილის 10 საათმდე, და ამიტომ—„პოპოშნიკი„ მარკოზს და „პოპოშნიცაც“—კესარიას.

მუხლი 5. უკეთუ ბუნებამ მოიტანოს და კესარიამ მიზეზობა დეიწყოს—ხელზე სამსახურისაგან განთავისუფლებულ იქმნეს,მოლოგინების წინ,—სამის თვით და შემდგომ მოლოგინებისა—ორის თვით.—„აკუშერკა“ ხაზეინის ხარჯზე.

მუხლი 6. უკეთუ ბაღანა ჭინჭყლი, უზნეო გამოდგეს, ანუ ჩემს კესარიას არ დაყვეს საკმაო რძე,—ხაზეინების ხარჯით დაქირავებულ იქმნეს ძიძა, ბევრი და კარგი რძიანი.

მუხლი 7. ხაზეინებს არ ექნეს უფლება მომთხოვოს ანგარიში, ან გამისინჯოს „პროვეზია.“ რასაც მოვიტან და დავამზადებ, ის მიირთვან. საზოგადოთ,—შეიზღუდოს სხვა და სხვა „პრეტენზიები“ და „ზაკაზები“.

მუხლი 8. ვახშმათ „პლეტის“ გახურება არ იყოს, სადილზე ნარჩენით გადავლა.

მუხლი 9. „პრიპასების“ ერთიანათ ყიდვა აეკრძალოს ხაზეიკას.

მუხლი 10. ინჯრაზე შემოსწრებული სტუმარი არაა სასურველი.

ნამდვილზე იმ პარტიის კომიტეტის ბეჭედია დაკრული, რომელსაც ჩვენ ვეკუთნით. ესაა ჩვენი მოთხოვნილება. თუ ყაბულსა ხართ—დავრჩებით, თვარა, ვიფსკვნით თუ არა გვირგვინს, ქე წავალთ. ხელს ვაწერთ: მარკოზ თეოდორიჩ გვენცაძე, კესარია თათეოზოვნა სულაქველიძე, რომელიც ნაახალკვირევს მადამ სულაქველიძეც გახდება.“

?!?

სასიმღერო.

ვინ გამიკითხა, ცუდი რითი ვარ?
იმით, რომ არ ვარ სხვისი სტვირთი მე?
შენი ჯავრი მაქვს, ვაი, თუ გატირონ,
სჯობს, შემიძულო, შენი ჭირიმე.
ღვთის მგმობი ვიყო, თუ არ შევტრფოდე
ხალხის წინსვლასა და წარმატებას,
თუ ჩემი თავი მტლად არ დაუდვა
ღვთივ—ჭეშმარიტსა თავისუფლებას.
მაგრამ ქართველსა რუსი უწოდო?!
ვერ შევითვისე, ვერ შევიგნე მე...
აი, ამისთვის გარდამიწყვიტეს
სიკვდილით დასჯა, შენი ჭირიმე.
როგორ ვიწამო თავისუფლება,
ქურდ-ბაცაცების მოპოებული:
ღამე ქურდობენ, დღისით ლოთობენ,
დამფრთხალ ხალხის წინ გაღმერთებული.
პრეზიდენტობენ ჩვილი ბავშვები,
პირველ კლასიდან გამოყრილები,
სხედან, მსჯელობენ, კაცის კვლას ბჭობენ,
სინიდისზე ხელ-აღებულები
„ცენტრალიზმს გმობსო, ქართველს ამკობსო“,
მას მიწყრებიან, ამით მგმობენ მე,
„ცენტრალისტები“ ქურდულად მკლავენ,
შენ არ შეწუხდე, შენი ჭირიმე!
ძველად ასულნი გმირებს ეტრფოდნენ,
ბრძოლისა ველზე გამოჯეკილებს,
ეხლა ეტრფიან დასვრილ ბურსაკებს,
დემოკრატების გამოჩეკილებს.
რომ არ მხვდა ბედი წარსულთა გმირთა,
ამას ვწუხვარ და ამას ვსტირი მე;
ლაჩრულ დროს, ლაჩარს, ლაჩრულათ მკლავენ,
ნუ მომინაღვლი, შენი ჭირიმე.

დავიწყებული.

ებად-ასაღები წყალ-წასაღები.

მეოთხე დუმის არჩევნები. უმაღლეს წრეებში უკვე შეუდგნენ ახალ საარჩევნო კანონის განხილვას მეოთხე „დუმისათვის“. განზრახულია არჩევნების უფლება მისცენ მხოლოდ „მენშევიკურ ფრაქციას“ და „ჭეშმარიტ რუსთ“, როგორც უკიდურეს და მებრძოლ პარტიებს. არჩევნები დაიწყება ამ წლის დეკემბერში. ადგილობრივი მენშევიკთა ფრაქცია ასახელებს კანდიდატებათ, სხვათა შორის, ჟმაკს, თაგუნას და სხვა მათ-თანა სოროების გმირებს. უკვე შეუდგენ თეთრ „კრასკის“ დაკვეთას მათს გასათეთრებლად. (რა ცოტა კრასკა დასჭირდებათ!) პროგრესისტთა და კადეტთა პარტიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი გადიხდიან კვირას პირველ პანაშვიდს ასე უდროოდ და ვერაგულად დაკარგულ საარჩევნო უფლების სულის მოსახსენებლად.

ორი საყურადღებო ლექცია. კვირას, 21 ოქტომბერს, სატივოზე დანიშნულია ორი ლექცია, დილით და საღამოთი. დილით ფარსელა ვართანიანცი წაიკითხავს ლექციას თავის საარაკო და დევგმირულ მოღვაწეობაზე, ტფილისის ქალაქის საგანგებო წეს-წყობილებაზე. საღამოთი იგივე ფარსელა წაიკითხავს რეფერატს პოლიტიკურ ქამელეონობაზე, რომელშიაც დაამტკიცებს თუ როგორ შეიძლება ერთ კვირის განმავლობაში დაშნაკანიც იყოს ესდეკიც, ესერიც და ექსპროპრიატორიც (ოთხი კაცის ჯამაგირის განაწილება სამთა შორის) ლექციას დაესწრება სალახ-საკლავებით ერთად ერთი ორგანო „Торговая газета“, რომელშიაც ფარსელა ვართანიანცი თანამშრომლობისათვის ფულს იხდის ხოლმე.

სურათების გაძვირება. რადგანაც ამ ბოლო დროს იუმორისტიულმა ჟურნალებმა მოუხშირეს ვირის-თავის სურათების დაბეჭდა, მხატვრებს შეუდგენიათ პროფესიონალური კავშირი და კრებაზე დაუდგენიათ: ვირისა და ჯორის თავების სურათების ფასი ასწიონ. ჟურნალების გამომცემელნი ჩავარდნენ დიდს საფიქრებელში და გადასწყვიტეს: დაიკვეთონ ცოცხალი ვირის თავები და ცალკე დაპატებად გამოუშვან ხოლმე, როცა საჭიროება მოითხოვს. ხოლო რადგან ვირის თავებზე მონოპოლია „ეშმაკის მათრახს“ აუღია, ამიტომ მსურველთ უნდა მიმართონ ხსენებულ რედაქციას, სადაც დიდ-ყურათა მთავარი კლუბიც არის მოთავსებული.

ვირის აბანოების რემონტი. რადგანაც ადგილთბრივ ვირის აბანოებს რემონტს უკეთებენ, რემონტის დამთავრებამდე დაპატიმრება და ვიზიტები ს სტიკად აკრძალულია.

„მარსელიეზა.“

(„ერთობა ჩვენთვის ტახტიას“ ხმაზე,)

ერთობა ჩვენთვის ჭრელია,
ძმობა—დამპალი ხილია,
თავისუფლება ბატონის
არ არის გასაჭირია.

დავკრათ და დავაგუგუნოთ,
შემოვკრბეთ ერთად ყველაო,
რეაქციისკენ, ძმებოჯან,
მეფის ტახტს უნდა შველაო!
„აბდულას“ შემოუთვლია:
„გიორგი“ დადექ მაგრაო,

„დუმის“ სამი თავგადასავალი.



პირველი იერიში
მართლაც იუო მედგარი.



მეორემ ჩაიჩოქა
გამოდგა ტოტხალ მკვლარი.

მესამეს ჩამოეკრა
თავზე გლოვისა ზარი!

„არჩილას“ კუკუ ამოჰკარ,
მან ყველა დაგვამწარაო.
შტაბი გამართეთ, შემოკრბით
„სლაპიჩის“ რესტორანშიო,
„გიგო“ ხომ კარგი ბიჭია,
ვენაცვა კაკალ გულშიო.
„სანდროსაც“ არა უჭირს რა,
თოფი გადიგდოს მხრზედა,
ვინც წინ აღუდგეს, არ შედრკეს,
ხანჯალი დასცეს ძალზედა.
დროშა ავმართოთ დიდების,
ეს კანონი და წესია...
„იმას მოვიმკით უთუოდ,
რაც ძველად დაგვითესია.“

ნელი.

წინაპართა სავანე.



ჩვენთ წინაპართ სავანეა,
შვილნო დინგით რომ გიჩვენებთ...
ვიდრე ხალხი არ გაწყდება,
დღრები ვერ მოვისვენებთ.

გამოცანა.

აქაც არის, იქაც არის
მოლაქლაქე კუდა—მელა;
დღეს შენია, ხვალე სხვისი,
ქვეშ-ქვეშა და ქვემძრომელა.

—

„ბაყაყეთში“ ცნობილია
ოდესელი კომერსანტი,
გუშინდელი მატრაკვეცა,
დღეს სოციალ—დემოკრატი.

ქონდრის კაცი.

ქუთაისისათვის გამოცანა № 3.

მუდამ „ეკიპაჟში“ ზის, უყვარს ღვინო კახური,
სისქით სავსე ტიკსა ჰგავს, ტკბილია და მაცდური.
ხშირად კლუბშიაც დადის, უყვარს კარტის თამაში,
ბარიშნებს უკან დასდევს, ნაქებია ამაში..
თვისი ცოლი ამ ჟამად სხვა ქალაქში დასტოვა,
ასეთ ამბები მისთვის არ ახ ლია—ძველი,
სიკეთე და სიმდაბლე მისთვის როდია ძნელი!

კლანწარახი.

გამოცანა.
საჩხერელებისათვის

იქაური სამკითხველოს,
„მაღაზიის“ გამგეები,
თავის საქმის უცოდნელნი,
არა მამკე—წამგეები;
მოჩირჩეტო „უჩიტელი“,
მეჯღანე და „აბლაკატი“
და მდივანი მომრიგებლის,
კოპწია და ცოტა „ფრანტი“.

პოლემიკა ჩვენში.



მაღაზია „უტავარო“,
უგაზეთო სამკითხველო,
ჯღანები და კალაპოტი
ისე ჰყრია, როგორც ბრელო.
„უჩიტელი“ მოჩირჩეტო,
მეჯღანე და აბლაკატი,
ერთიც მათი ამხანაგი,
ცრუ სოციალ-დემოკრატი.
საქმეს მკვდრეთით აღადგენენ:
შეიძენენ ლისტით ფულებს,
ვინ გაუძლებს საჩივარში
„იურისტულათ“ გაწაფულებს?
საჩივარი, სასამართლო
არის მათი იარაღი,
ისე უყვარსთ, ისე... ისე,
ვით მაისში ბულბულს ბაღი;
სხვებზედ უფრო ცრუ დემოკრატს
შუბლზედ აზის ამის დაღი,
თუმცა ერთ დროს იყო თურმე
პირ-ბადეს ქვეშ კაცი საღი.

ნარი-ეკალა.

გამოცანა.
(ქუთაისლებს)

გამოცანა მინდა უძღვნა,
ორფეხიან პირუტყვს, რქოსანს·
ყველამ გვერდით აუაროს,
ამ საძაგელ „კაკარდოსანს.“
მოწიწებით მოგეპყრობა,
ტკბილათ ხვთება ერთობ ყველას
და საქმით კი, უკუღმართი,
სჭარბობს მხეცებს, მგელს და მელას.
ვინ აჯობებს ცბიერობით,
ჯალათს მისცემს თავის ძმასა.
გესლით, შხამით აღვსებული,
ვითომც ფიქრობს ქვეყნის ხსნასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელაკუდობს გაიძვერა,
ნაქებია ჯაშუშათა!..
თუ კი რამე მოგიხერხა,
ყოველ მხრიდან არის მზათა.
ბევრსაც აუტირა დედა,
ბევრს ლპირებს უფრო სხვასა.
დადგა ვაჟბატონის რთველი,
ველარ ვიღებთ ვერსით ხმასა.
ჯერ-ჯეროობით ეს იკმაროს,
მისს საქციელს ვადებ ფასსა.
და კვირისთვის გამოცანას,
კვლავ მიუ'ღვნი სულ სხვა გვარსა...

ბომბა.

პროვინცია.

ქუთაისის რამე—რუმე.

— სასტიკათ გააშავეს ერთი მოხუცი არშიყი და მოტრფიალე—საზოგადოთ ყოველგვარ არჩევნებისა (და არა ქალებისა!), რომელმაც სათათბიროს ამომრჩეველთა არჩევნების წინ მოწოდებით მიმართა საზოგადოებას, რომ აერჩიათ „დუმის“ ამომრჩევლად,— ქუთაისში კარგად ცნობილი, საზოგადო მოღვაწე დ. ნ. ბაქრაძე, რომელიც დიდხანს „მისივე სულით“ იყო.

— გაიმარჯვეს, რასაკვირველია, სოციალდემოკრატებმა; გაათეთრეს მათი კანდიდატები: ექიმი ნასარიძე, მასწავლებელი რობაქიძე და მეურნე ვაწაძე. გათეთრებით ქე გაათეთრეს, მარა ვაი ასეთ გათეთრებას! ცოტა დააკლდა, კადეტებმაც კინაღამ აჯობეს. „ერთიც კიდევ ასეთი გამარჯვება და ჩვენ უჯაროდ დავრჩებითო“, ამბობენ სასოწარკვეთით აქაური სოციალდემოკრატები, ალექსანდრე მაკედონელისებურად.

— ქუთაისის ციხის გამგეობამ და პოლიციამ, რომელთაც გვირაბის საშუალებით გაქცეულ ტყვეების ასავალ-დასავალი ვერ გაიგეს, ისევ ციხეში დარჩენილ ტყვეებზე იყარეს ჯავრი. ბევრისათვის ისე უცემიათ, რომ სიკვდილზე მიუყენებიათ: „როგორ გაბედეთ და არ შეგვატყობინეთ, თუ ციხის ქვეშ, მიწაში, გვირაბი იყო გათხრილი და ტყვეები იპარებოდენო“.—„ღმერთი, ხატი, ჩვენ არავითარი დანაშავული არ მიგვიძღვის; ჩვენ სრულიადაც არ გვცოდნია გვირაბის არსებობა, თორემ მაშინ ხომ ჩვენც სხვებივით გავიპარებოდითო!“ ნუთუ საკმაო არაა ასეთი საბუთი დარჩენილ ტყვეების უდანაშაულობის დასამტკიცებლად?

— სოციალდემოკრატებისა და პოლიციელების ბლოკ-კავშირი თანდათან მაგრდება. თუ მეორე სათათბიროს არჩევნების დროს, იანვარში, მხოლოდ ხუთმა ამომრჩეველმა გაბედა იმის განცხადება, რომ პოლიციელებმა დაგვირიგეს სოციალდემოკრატების კანდიდატების ბიულეტენები საარჩევნო ყუთში ჩასაგდებადო, წელს, როგორც სარწმუნოთ გავიგეთ, ასეთი განცხადებით მიმართვა თავმჯდომარისათვის, არჩევნების დროს, ოცამდე კაცს გაუბედია. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი კაცი ვერ გაბედავდა—საჯაროდ განეცხადებია რამე, ამ ჟამად ყოვლის შემძლე პოლიციის საწინააღმდეგოდ!..

— ქუთათურ ექიმებს თითქმის ერთხმად გადაუწყვეტიათ ბოიკოტი გამოუცხადონ ღარიბ ავათმყოფებს და შემდეგში უსასყიდლოდ აღარ იმუშავონ ქალაქის უფასო სამკურნალოში. ხნიერი ექიმები, რომელთაგან ზოგიერთი ნამდვილ კრეზად გამხდარა, ამბობენ: „ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ უსასყიდლოთ, ეხლა კი ახალგაზდებმა იმუშავონო“. უკანასკნელნი კი თავის გასამართლებლად ამბობენ: „გვაცალეთ, რომ ჩვენც ჩვენი კოლეგებივით გავმდიდრდეთ და შემდეგ ვიმუშავებთ უსასყიდლოდ ქალაქის სამკურნალოშიო“. მაშ, თქვენც აცალეთ, უმწეო ავათმყოფებო, ახალგაზდა ექიმებს კრეზად გახდომა! კრეზები კი, ხომ იცით, რა ეულმოწყალენი არიან თქვენისთანა უბედურებისადმი!.,

ნემსი.

დიალოგი თელავის სამარხ კასირთან

— ბატონო ივანე, აი მამაჩემი მოვიყვანე, ბებრების კასაში ჩასაწერად!

— აბა სად არის? შემოვიდეს!

— კარშია, ურემში წევს.

— ვერ ჩამოვა?

— ვერა, შენი ჭირიმე, წუხელ ვაზიარებინეთ. აბა ჩქარა, თორემ ვაი თუ სული ამოხდეს.

— კაცო და რატომ ადრევე არ ეცადე მაგის მოყვანას, აბა, ეხლა რა უყოთ?! ლაპარაკი შეუძლიან?

— რის ლაპარაკი, ეს ერთი კვირაა ენა ჩავარდნილი აქვს, აკი იმდღესაც მოგახსენე.

— შე კაი კაცო, რაღას ტორტმანობ, ხომ ხედავ კვდება, აბა რაღა ყურება უნდა? მოიყვა დროზე და!

— მე ვითომ, თქვენ სიტყვაზე, იმ დღეს რომ მიბრძანე, თუნდა სულთმობძავი იყოს არა უშავს რა, იმითვინ არა ვჩქარობდი.

— კარგი და ნულარ უყურებ! აბა, წამო ვნახოთ. (მიუახლოვდება ურემს) ეი, ბერი კაცო!.. შენი სახელი?.. ბიჭო, ამას ენა კი არა, თვალებიც დახუჭვია!.. კაცო! ეს ხომ მკვდარია?..

— არა უშავს რა, შენი ჭირიმე; რაკი შენ სიტყვაზე მომიყვანია, უნდა მიღო, როგორც იქნება...

— მაშ, ერთი ეს მითხარი, გუშინ ხომ ცოცხალა იყო?

— როგორ არა, შენი ჭირიმე, აქამდისაც ცოცხალი იყო.

— ჰო-და გუშინდელ რიცხვით ჩავწერ ამას, მხოლოდ შენ არავისთან არა გრჯოდეს რა... ესეც იცდე, რომ არც მთელი ფული მოგეცემა.

— თქვენი ნება იყოს, შენი ჭირიმე, რასაც გაიმეტებ იმისიც მადლობილი ვიქნები, ოღონდ სულ ცარიელს ნუ გამაბრუნეფ!

— კარგი, შევიდეთ სახლში და ფულის მიღე-ბის ბარათზე ხელი მომიწირე!..

— აგაშენოს, შენი ჭირიმე! ღმერთმა მრავალი მოგცეს ამისთანი შემთხვევა:

დ—ო.

სოფ. კაკი (საინგილო) ადგილობრივი სამკი-თხველო, რომლის დაარსებაზედაც ეგოდენი ღვა-წლი და შრომა გამოიჩინეს ინგილოებმა, აბარგუ-ლა, მოსწყენია რა ინგილოებში ყოფნა, სომეხ ვა-ჭრების სამრევლო სკოლას შეჰხოხებია და დაშნა-კელების პარტიაში ჩაწერილა.

იქიდანვე. საინგილოში ქრისტიანობის დამ-ფუძნებელს, აწ განსვენებულ, დიდათ პატივცემულ ივან-ბაბას, რომლის ძეგლის დასადგმელადაც ეს ოცი წელიწადი ფული იკრიბებოდა, უკვე დაედგა უკვ-დავი ძეგლი—ზოგიერთების ჯიბეში.

ქ. ზაქათალა. ჩვენს ბედნიერს ქალაქს უკვე ხუთი ბეითალი ჰყავს. იმედია ესენი ჩქარა იბარტ-ყებენ და ახლო მომავალში იმდენი ბეითლები გვე-ყოლება, რომ არამც თუ ძაღლი და კატა, ვირთა-გვებიც კი აღარ დაგვეხოცება ავადმყოფობით. აბა, ბედნიერებიც ასეთი უნდა!

რაჭა. აქ საზოგადოება დიდ შიშშია: აქაუ-რი ერთი ბობოლა და მისი ამხანაგი რომ მოკვდნენ, ვაი თუ სამოთხის გასაღები მოციქულ პეტრეს მა-გიერათ იმათ ჩაბარდეს,—მაშინ იგინი ისე მოიქ-ცევიან, როგორც სტიპენდიის განაწილებაში: სულ მდიდრებს და შეძლებულებს შეუშვებენ სამოთხეში, როგორც ამას წინეთ სტეპენდიაც მდიდრის შვი-ლებს და თავიანთ ნათესავებს დაურიგეს, ხოლო ღარიბებს კი უარი სწყვიტესო!..

ს. ამბროლაური. (რაჭა) თავგადაგლეჯით დავეძებთ და გვჭირიან დიოგენის ფარანი აქაურის მსაჯულის მოსაძებნელად. ეს ოთხი წელიწადია, რაც „სუდი“ აგვაშენებიეს და თვით „სუდია“—მსა-ჯული კი ჯერ არსადა სჩანს.

რაჭველი შურდული.

დ. ცხინვალი. ბნელმა ძალებმა კიდევ თა-რეში გამართეს. შესდგა შანტაჟისტთა ბრბო, რო-მელნიც პარტიის სახელით მოქმედებენ და კუდამდე ტყავს აძრობენ ხალხს. მათ ბეჭედიც ჰქონიათ სოც. დემ. პარტიისა (მე ვგონებ ეს ბეჭედი დარჩენილი უნდა იყოს რეაქციის დროიდან). მოუგროვებიათ კიდევ სხვა და სხვა ბლანკები, დადიან და აგრო-ვებენ ფულს. საკვირველია, ღმერთმანი, რომ ეს-დეკები მართლა არ მიიღებენ ამ რაინდების ასა-ლაგმად შესაფერ ღონისძიებას, ვინაიდან ეს ვაჟ-ბატონები წინად პარტიამ განდევნა. ან გაზეთის საშუალებით მაინც რად არ ამოიღებენ ხმას?

ჭილყვავი.

ესდეკების ალსარება.

გლეხებმა უნდა დაკარგონ
სოფლათ მიწა. და წყალია;
ამას თვით ცხოვრება ჩადის,
აბა, რა ჩვენი ბრალია?
ქალაქს მოაწყდენ მუშები,
ამრავლონ პროლეტარები...
რა ვუყოთ, რომა ივერში,
არ იპოება ქარხნები.
რაც ადრე გაღარიბდებით,
მით უფრო უკეთესია.
ღარიბებისთვის სამოთხე
მარქს-ენგელს დაუწესია.
რისი სამშობლო, რის ერი?
მუშისთვის ყველა ფუჭია!
ჩვენი სამშობლო იქ არი,
სადაც გაძღება კუჭია.
ბურჟუა გაძღეს-გასუქდეს,
იმასა ჰქონდეს ხეირი...
ათას წლის შემდეგ ვაჩვენოთ
ჩვენ მდიდრებს ზეიმ-სეირი!
მინამ კი მოითმინევით,
ნუღარ გვახსენებთ ავათა;
ეს არის ჩვენი პროგრამა
და ნურას უკაცრავათა...

რაჭველი შურდული.

ლინგვისტური გამოკვლევა.

ჩვენებურ „მეცნიერულ მატერიალისტებს“ გამოუკვლევიათ, რომ ცნობილი **ჟორ-ესი** „და **ჟორ-დანია** ერთის ძირისანი არიანო!.. „ბევრი რამ არის, ჩემო ჰორაციო, ამ ქვეყნად ისეთი რამ, რაიც სი-ზმრადაც არ მოსჩვენებია ჩვენთა ბრძენთა.“

ექსპრომტი.

„ცისკარი“ შუქსა ვერა ჰფენს,
მარქსისტების ნამოქმედარს,
მეტად ძნელია ეშველოს
საქმეს ფუჭსა, უკვე წამხდარს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრესიული პრესა.



„ზატერიანი“ უეფვავს
„დუმას“, ხმა უგავს ბალმსაო,
ჯაჭვით მიუბამთ ბალოზე,
ის შეაშინებს ხალხსაო!

მესამე დუმისკენ.



მიდის იქითკენ და მიეურინავს
ჩვენი მერანი,
მაგრამ გზა ჩვენი დიახ არი
ტიალ-ველანი!
იქ დაგვიხვდება ეკლოგი-ბერი,
ანტონიოსი!
რომელი „მრწამსით“ ეკვეთება
ჩვენი კარდოსი???

მამულის ერთგული.



გასწი ვერანავ „ცენტრალიზმში“
შეეკვი თავი!
მე შენის ცემით დამედალა
ესდეკი მკლავი!

ბიბლიოთეკა

ეკატერინე ბარათაშვილი ამ ჟამად მიწნენის სამხატვრო აკადემიას ათავებს. ეს-ეს, გორც იქიდან გვატყობინებენ, ბაბალეთ ოლგას დაიჭერს მხატვართა შორის. ეკატერინე თავად დავით ბარათაშვილის ქალია. აქაურ საქალებო გიმნაზიის დასრულების შემდეგ, იგი მხატვრობას სწავლობდა ჩვენს დიდათ ნიჭიერის გიგო გაბაშვილის ხელმძღვანელობით. ეს ოთხი წელიწადია მიუნხენში სწავლობს, ცნობილი პროფესორის ჰალმის კლასში, და, როგორც გვაუწყებენ, საუცხოოდ შეუსწავლია ტეხნიკა, მისი სპეციალობა ადამიანის სურათების ხატვაა. აქვე მოგვყავს ნიმუშად მისი ნახატები. ამ ჟამად ეკატერინე გაბაშვილი ხატავს ჩვენი დიდებული მგოსნის-ილია ჭავჭავაძის სურათს.

ვუსურვებთ ახალგაზრდა მხატვარ ქალს სრულის გამარჯვებით დაბრუნებას სამშობლოში, ჩვენის ეროვნულ ხელოვნების ასაღორძინებლად.

წვრილმანებს არც ჩვენ ვეტანებით.

ერთი ახალთაობის მამასახლისი სოფლის ყრილობაზე თავმომწონეთ გაჰკიოდა:

— ხალხო და ჯამაათო! აბა, აქეთ შემოიხედეთ! ეს ორი ქათამი ქრთამად მაძლიეს. უეჭველია, ასეთ სამარცხვინო საქციელს ხალხი წინანდელ მამასახლისებისაგან არის დაჩვეული! მე კი... მე კი, რა თქმა უნდა, ვიუკადრისე და ქრთამიც უკან დავუბრუნე მომჩივანსო!

— ამისთანა წვრილმანებს არც ჩვენ ვიღებდითო! — თავმომწონეთ მიუგო ერთმა ნამამასახლისარმა.

საერთო სიცილი.

რედ.-გამომცემელი **ვალერიან გუნია.**

განცხადება.

ამ ნომერთან ერთად ეგზავნება ხელისმომწერთ

ნეიშველერის რეზინის

კალოშების განცხადება.

ვთხოვთ მკითხველთ მოსთხოვონ გაზეთის გამყიდველებს განცხადებაც.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „**სორაპანი**“ მადათოვის კუნძეული სახლი მუხრანსკისა, № 1.